საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

№ 18858
"04" 12 2020
2/2CO
+ 02 +

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოლო"-ს (ს/კ405219972) დირექტორი
ბ-ნი შალვა ობოლაშვილის

ელ.ფოსტა. solocement@gmail.com
მობ: 595 22-55-85

# სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოლო"-ს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №174. ს.კ 02.07.03.006, გააჩნია ცემენტის წარმოების საამქრო (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) (GPS კოორდინატში X=500312 და Y 4595720).

აღნიშნულ საწარმოზე, 2018 წლის 26 ივლისს #2-605 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოში გარემოსდაცვითი ნებართა გაცემული იყო 10 ტ/სთ რაოდენობის ცემენტის წარმოებაზე, რომელიც დღეში 12 საათიანი სამუშაო რეჟიმით 120 ტ. ხოლო წელიწადში 300 სამუშაო დღით 36000 ტონა ცემენტი იწარმოება. საწარმოში დაგეგმილია ძირითადად 300, 400 და 500 მარკის ცემენტის წარმოება.

ქვეყანაში ცემენტზე მოთხოვნილებაზე გაზრდის გამო, საწარმოში დაიგეგმა საწარმოს წარმადობის გაზრდა, კერძოდ ახალი 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მონტაჟი დღეში 12 საათიანი სამუშაო დღის 16 საათიანი სამუშაო დღით გაზრდა, ანუ 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის დაგეგმილი წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ტოლი იქნება 30x16x300=144000 ტ/წელ.

30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მონტაჟისა და შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ არსებული 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი გადავა სათადარიგო რეჟიმში, კერძოდ მისი ჩართვა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილი გადავა სარემონტო რეჟიმში, ანუ მისი მუშაობის მაქსიმალური დღეების რაოდენობა მოსალოდნელია 60 დღე და შესაბამისად დღეში 16 საათიანი სამუშაო რეჯიმით ის გამოუშვებს 10x16x60=9600 ტ/წელ.

წლიურად გამოსაშვები პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა მოსალოდნელია 144000+9600=153600 ტონის ოდენობით.

ახევე ცემენტის სილოსებს დაემატება მეექვსე სილოსი 130 ტონა ტევადობით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განხორციელებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა", ამიტომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოლო"-ს ცემენტის

წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანმამატების დაფქვით) ზემოთ აღნიშნული ცვლილებებთან დაკავშირებით (10 ტ/სთ წარმადობის წისქვილის ახალი 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილით ჩანაცვლება და დღიური სამუშაო საათების 12 საათიდან 16 საათამდე გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით შალვა ობოლაშვილი

GEORGIA "SOLO" LTD 405219972

4.12-2020წ

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;